სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/140

24 სექტემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის №01-05-02/25 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელთა პერსონალი უფლებამოსილია გაუძღვეს შესაბამისი სასწავლო კურსის პრაქტიკულ, ლაბორატორიულ, საკურსო სამუშაოებს და სემინარებს.
2. უფროსი მასწავლებლის ერთი აკადემიური საათის ანაზღაურება განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით.
3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი).
4. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს, თამარ წერეთელს.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**